

**ბლანტი თერმოდრეკადობის წრფივი თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანები
კელვინ-ვოიგტის მასალებისათვის**

მაია სვანაძე

გამოკვლეულია ბლანტი თერმოდრეკადობის წრფივი თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანები კელვინ-ვოიგტის მასალებისათვის. გრინის ფორმულების გამოყენებით დამტკიცებულია შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანების კლასიკური ამონახსნების ერთადერთობა. დადგენილია ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალის ძირითადი თვისებები. დამტკიცებულია პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებათა თეორიის გამოყენებით მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების არსებობის თეორემები.